საკონტაქტო

მისამართი:
ესენის საშჯელაღსრულებითი დაწესებულება
აქ/ მიუთითეთ პატიმრის სახელი და გვარი
კრაველშტრასე 59
45130 ესენი

ტელეფონი: 0201 7246-0
ფაქსი: 0201 7246-415
ე-ფოსტა: Kontakt per E-Mail

წერილობითი ფოსტა

წირილობითი ფოსტა (მსჯავრდებული)

მსჯავრდებულთათვის წერილობითი ფოსტის გაგზავნა და მიღება ჩრდილო რაინ-ვესტფალენის ფედერალურ მიწაზე (სისხლ. სამ. პატ. კანონის) §§ 21-23, §§ 25-26 ით რეგულირდება. ამ კანონის მიხედვით პატიმარს არსებითათ აქვს უფლება, წერილები შეუზღუდავად გააგზავნოს და მიიღოს. დაწესებულების ხელმძღვანელობას აქვს უფლება წერილობითი ფოსტის შეზღუდვა დაუწესოს პიროვნებას, თუკი

- ამით დაწესებულების უსაფრთხოება და წესრიგი იდგება საფრთხის ქვეშ,
- არსებობს საშიშროება, რომ იმ ადამიანებთან კონტაქტი, რომელნიც სისხლ. სამ. კან. § 11 აბზ. 1 Nr. 1 მიხედვით პატიმრის ოჯახის წევრებს არ წარმოადგენენ მასზე ცუდ ზემოქმედებას მოახდენს ან მის რეაბილიტაციას შეაფერხებს,
- პატიმარს მისი დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლთან დაკავშირება სურს და ამით ასეთი სახის კონტაქტს მსხვერპლზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ან საფრთხე არსებობს ან მან დაკონტაქტებაზე უარი განაცხადა.

ყოველი შემომავალი და გამავალი ფოსტა ჩრდილო რაინ-ვესტფალენის მიწაზე სისხლ. სამ. პატ. კანონის § 22 მიხედვით აკრძალულ ნივთებზე, როგორიცაა ფული, სიმ-ბარათი ან ნარკოტიკი, გადის შემოწმებას. ჩრდილო რაინ-ვესტფალენის სისხლ. სამ. პატ. კანონის § 22 აბზ. 2 მიხედვით წერილობითი ფოსტის შემოწმება ხდება მისი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის საფუძველზე. ჩრდილო რაინ-ვესტფალენის სისხლ. სამ. პატ. კანონის § 26 შესაბამისად ასეთი სახის შემოწმებისაგან თავისუფალია მაგ. დაცვის მხარე, წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, პეტიციის შემდგენი დაწ. მონაცემთა უზრუნველყოფის წარმომადგენელი და საშჯელაღმს. დაწ. წარმომადგენლები. ამით პატიმრებისათვის ფაქტობრივად დაცულია წერილობითი საიდუმლოს უფლება – თუმცაღა არა შეუზღუდავად.

ფოსტის საფასურს იხდის პატიმარი.

წერილობითი ფოსტა (საგამოძიებო პატიმრობაში მყოფი პატიმრებისათვის)

წერილობითი ფოსტის რეგულაციები საგამოძიებო პატიმრობაში მყოფი პატიმრებისათვის განსაზღვრულია ჩრდილო რაინ-ვესტფალენის ფედერალურ მიწაზე (სისხლ. სამ. პატ. კანონის) § 20 მიხედვით. ამის მიხედვით საგამოძიებო პატიმრობაში მყოფ პატიმარს შეუზღუდავად შეუძლია წერილების გაგზავნა და მიღება.

როგორც წესი წერილის შემოწმება ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი მოსამართლის მიერ უსაფრთხოების, ინფორმაციის დამალვის ან დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის საფრთხის გამო.

ფოსტის საფასურს იხდის საგამოძიებო პატიმრობაში მყოფი პატიმარი.

<u>ვიზიტი</u>

კერძო პირებისათვის:

კვირის დღე:	**საათი:**	**ვიზიტის სახეობა:**
ორშაბათი	13:00 - 15:00 საათი	ცალკეული ვიზიტი (ვიზუალური და აკუსტიკური მეთვალყურეობა)
სამშაბათი	08:40 – 15:10 საათი	ცალკეული ვიზიტი (ვიზუალური და აკუსტიკური მეთვალყურეობა)
ხუთშაბათი	08:00 – 15:10 საათი	ცალკეული ვიზიტი (ვიზუალური და აკუსტიკური მეთვალყურეობა)
ორშაბათი	08:30 – 14:30 საათი *	ერთობლივი ვიზიტი (ვიზუალური მეთვალყურეობა)
ოთხშაბათი	11:15 – 20:30 საათი *	ერთობლივი ვიზიტი (ვიზუალური მეთვალყურეობა)
შაბათი **(თვეში მხოლოდ ერთი შაბათი)**	08:00 – 14:00 საათი	ერთობლივი ვიზიტი (ვიზუალური მეთვალყურეობა)
პარასკევი, კვირა ისევე როგორც სხვა დასვენების დღეები	დაკეტილია	

* ბოლო ვიზიტები ორშაბათს იწყება 14:30 საათზე და ოთხშაბათს 17:15 საათზე!

ვიზიტორთა დრო თვეში შეადგენს ორ საათს, რომელიც გადანაწილებულია ორ ვიზიტზე, თითო 60 წუთის განგრძლივობით. **საგამოძიებო პატიმრობაში მყოფ პატიმართა** მოსანახულებლად საჭიროა შესაბამისი სასამართლოს მიერ გაცემული ვიზიტორთა ნებართვა. **მსჯავრდებულების** შემთხვევაში ცალკეულად შესაძლებელია ვიზიტი მეტხანს გაგრძელდეს. მოსამართლის მიერ გაცემული უფლება არ არის საჭირო.

ცალკეული და ერთობლივი ვიზიტებისათვის მონახულების დღეების შეთანხმება უნდა მოხდეს ვიზიტორთა ცხრილში. მასთან დაკავშირება ორშაბათს 10:30 დან 18:30 საათამდე, სამშაბათს და ხუთშაბათს 09:00 დან 15:00 საათამდე (შესვენება: 12:00 დან 13:00 საათამდე) და ოთხშაბათს 12:00 დან 19:00 საათამდე ტელეფონზე 0201 7246-156 შესაძლებელი. მოსანახულებელი დღეების შეთანხმება შესაძლებელია ასევე მოხდეს ე-ფოსტის საშუალებით (besuch@jva-essen.nrw.de)

თითოეულმა ვიზიტორმა თან უნდა იქონიოს მოქმედი პირადობის მოწმობა ან პასპორტი და საგამოძიებო პატიმრობაში მყოფი პატიმრების მონახულებისას დამატებით შესაბამისი სასამართლოს მიერ გაცემული ვიზიტორის უფლება. ე.წ. დროებითი საბუთის მიღება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უცხო ქვეყნის პირადობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე იქნა გაცემული. თუკი დროებითი საბუთის გაცემა მხოლოდ მისი მეპატრონის მიერ მიცემული მონაცემების საფუძველზე განხორციელდა, ასეთ შემთხვევაში მონახულებაზე უარი გეთქმევათ. იგივე ეხება, თუკი პირადობის მოწმობას ან პასპორტს ვადა აქვს გასული.

ისეთი სახის ნებართვები, როგორიცაა მაგალითად ჩაბარებული ნივთების გაცემა ან ნივთების მიღება, უფლებამოსილების საბუთის გაკეთება და სხვ., საგამოძიებო პატიმრობაში მყოფი პატიმრების შემთხვევაში მოსამართლის მიერ ვიზიტის ნებართვის საბუთზე უნდა იყოს მინიშნებული, ხოლო მსჯავრდებულების შემთხვევაში ადვოკატის მიერ გადმოცემული. ნებადაურთავი ან აკრძალული ნივთების გადაცემის შემთხვევაში შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ვიზიტორის აკრძალვა და ფულადი ჯარიმა იქნეს დაწესებული.

ამისდა დამოუკიდებლად ვიზიტის დროს დაშვებულია პატიმარს მცირე ზომის ჩალაგებული ყუთი გადაეცეს. ამ ყუთის ყიდვა შესაძლებელია ვიზიტორთა საქმეების მოხელესთან. არსებობს 10,00 ევროიანი და 20,00 ევროიანი ყუთები, თუმცაღა 20,00 € დაშვებული საყიდლების მაქსიმალურ რაოდენობას წარმოადგენს. გთხოვთ თანხა ზუსტად გადათვლილი და რაც შეიძლება მაღალი კუპიურათი იქონიოთ თან.

დაწესებულებაში ცალკეულ და ერთობლივ ვიზიტორთა ოთახებში კატეგორიულად აკრძალულია მოწევა.

მნიშვნელოვანი: ვიზიტი შაბათ დღეს ხორციელდება მხოლოდ **თვის პირველ შაბათ დღეს.** ასევე საორგანიზაციო მიზეზების გამო, ვიზიტის ხანგრძლივობის 60 წუთზე დიდხანს გაგრძელება შაბათს ვერ მოხდება!

მნიშვნელოვანი: გთხოვთ **კარდიოსტიმულატორის** მქონე პირებმა ის შემოწმებისას აჩვენოთ!!

ვიზიტი ბავშვებთან ერთად

მცირეწლოვანი ბავშვებისათვის მშობლის პატიმრობა წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე ტვირთს. ასევე დგას პატიმარი მშობელიც რთული დავალების წინაშე, პატიმრობაში ყოფნის პერიოდშიც ურთიერთნდობაზე დამყარებული კონტაქტი შეინარჩუნოს თუ ააგოს შვილთან. ამ მიზეზით ჩრდილორაინ-ვესტფალენის მიწაზე ოჯახურ კონტაქტებს – განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებთან-მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. ასე მაგალითად მცირეწლოვანი ბავშვებისთვის კანონით არსებობს დამატებითი სავიზიტო დრო. გარდა ამისა ჩრდილოეთრაინ-ვესტფალენი ცდილობს განსაკუთრებით გაითვალისწინოს მცირეწლოვანი ბავშვი ვიზიტორების საჭიროებები.

საინფორმაციო ფურცელი

გზამკვლევი

საზოგადოებრივი ტრანსპორტით:

- თუკი თქვენ მატარებლით ჩამოდიხართ, მაშინ ესენის რკინიგზის ცენტრალური სადგურიდან გემარკენპლატცის გაჩერებამდე იმგზავრეთ U17 –ით. ამის შემდეგ ფეხით (დაახლოებით 5 წუთი): ბრუნოშტრასეს გავლით (მარცხენა მხარეს დოიჩე ბანკის ფილიალს გასცდით) და შემდეგ შეუხვიეთ მე -2 ქუჩაზე მარჯვნივ კრაველშტრასეზე.
- ან ქალაქის ცენტრიდან ტრამვაის ხაზით (ხაზი 106) საოლქო სასამართლოს (Landgericht) გაჩერებამდე.
  ამის შემდეგ ფეხით (დაახლოებით 3 წუთი): ფიხოვშტრასეს გავლით (მარცხნივ საოლქო სასამართლო და ახალი პროკურატურა), შემდეგ პირველი ქუჩა მარჯვნივ კრავალშტრასეს მიმართულებით.

ავტომობილით მგზავრობის შემთხვევაში:

- დუსელდორფის მხრიდან ავტობანი A 52 – ით ესენ-რუთენშაიდის გადასახვევამდე, შემდეგ B 224 – ით ცენტრის მიმართულებით. დაახლოებით 1900 მეტრის გავლის შემდეგ მარცხნივ კრავალშტრასეზე.
- ბოხუმის მხრიდან A 40 – ით შტადთმითეს გადასახვევამდე, ჰოლსტერჰაუზენის მიმართულებით, დაახლოებით 1600 მეტრის გავლის შემდეგ მარცხნივ ვირხოვშტრასეზე, დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით მარცხნივ კრავალშტრასეზე.

- დუისბურგის მხრიდან A 40 – ით ჰოლსტერჰაუზენ/ალთენდორფის გადასახვევამდე, შემდეგ მარჯვნივ და მე – 3 შუქნიშანთან მარცხნივ ჰოლსტერჰაუზენის ქუჩაზე, დაახლოებით 500 მეტრის გავლის შემდეგ მარჯვნივ ვირხოვშტრასეზე, დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით მარცხნივ კრავალშტრასეზე.

საბანკო რეკვიზიტები

თანხა შესაძლებელია გადაირიცხოს ციხის ანგარიშზე:

მიმღები:	JVA Essen
Bank:	Postbank Essen
BIC:	PBNKDEFF
IBAN:	DE83 3601 0043 0003 1094 32
დანიშნულება:	გვარი, სახელი, პატიმრის დაბადების თარიღი

მნიშვნელოვანი მითითება:

პატიმრისათვის გაკეთებული ყველა სახის გადარიცხვის განხორციელებისას დანიშნულებაში (Verwendungszweck) ყოველთვის უნდა იყოს პატიმრის სრულყოფილი სახელი გვარი და დაბადების თარიღი მითითებული. თუკი ცნობილია, ასევე დამატებით ინფორმაციათ შეგიძლიათ მიუთითოთ პატიმრის ნომერი. თანხის ხელზე გადახდა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირ თანხის გადასახდელ ადგილას. ნაღდი ფულის წერილებით გაგზავნა ან მისი პირდაპირ გადაცემა პატიმრისათვის არ არის დაშვებული.

მონაცემთა უსაფრთხოება

საინფორმაციო ფურცელი